



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №138

2011 წლის 25 ნოემბერი
ქ. ქობულეთი

ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №13-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვისათვის ერთჯერადი გადასახადის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 16-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად:

1. ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №13-ში მდებარე 136,6 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვისათვის ერთჯერადი გადასახადი განისაზღვროს 2900 (ორი ათას ცხრაასი) ლარის ოდენობით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №13-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვისათვის შემდგომი პროცედურების ჩატარების მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

